1946 წლიდან მოყოლებული ნ. მ. შვერნიკი შვიდი წლის განმავლობაში უცვლელად იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტზე და ბევრი რამ გააკეთა საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცებისათვის. შემდეგ სამ წელს იყო საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე.

1956-1966 წლებში ნ. მ. შვერნიკი მუშაობდა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ.

XIV ყრილობის შემდეგ ნ. მ. შვერნიკი პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრია. XVIII ყრილობიდან მოყოლებული იგი სკკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, შემდეგ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრია. არჩეული იყო პირველ, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

ყველა პოსტზე, რომლებიც კი მიუნდვია მისთვის პარტიას, ნ. მ. შვერნიკი მთელ ძალ-ღონესა და ცოდნას ახმარდა სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის საქმეს, ერთგულად ემსახურებოდა დიად სოციალისტურ საშშობლოს.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა სახელმწიფომ დიდად დააფასეს ნ. მ. შვერნიკის თვალსაჩინო დამსახურება. მას მინიჭებული ჰქონდა სოციალისტური შრომის გმირის წოდება, დაჯილდოებული იყო ხუთი ლენინის ორდენით, ბევრი მედლით.

ნიკოლოზ მიხეილის-ძე შვერნიკის — მუშათა კლასის სახელოვანი შვილის, ერთგული ლენინელი კომუნისტის, გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწის ცხოვრება და საქმიანობა არის მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის თავდადებული ბრძოლის ნიმუში.

ნიკოლოზ მიხეილის-ძე შვერნიკის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება საბჭოთა ადამიანების გულში.

ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. ა. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, პ. ე. შელესტი, ი. ვ. ანდროპოვი, ვ. ვ. გრიშინი, პ. ნ. დემიჩევი, დ. ა. კუნაევი, პ. მ. მაშეროვი, ვ. პ. მჟავანაძე, შ. რ. რაშიდოვი, დ. თ. უსტინოვი, ვ. ვ. შჩერბიცკი, ი. ვ. კაპიტონოვი, კ. თ. კატუშევი, თ. დ. კულაკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, გ. თ. სიზოვი, ა. ა. ანდრეევი, პ. ნ. პოსპელოვი, თ. ნ. პეტროვი, ლ. ა. ფოტიევა, ა. ი. მიკოიანი, ა. თ. ბორკინი, ვ. ნ. ნოვიკოვი, მ. ა. ბიორგაძე, კ. უ. ჩერნენკო, ბ. ს. პავლოვი, კ. ნ. გრიშინი, ნ. ა. პეტროვიჩევი, ს. ო. პოსტოვალოვი, ვ. ი. პროხოროვი, ნ. კ. კოზლოვი.

მოსკოვი ეთხოვება ნ. მ. შვერნიკს

საბჭოთა არმიის მ. ვ. ფრუნზეს სახელობის ცენტრალური სახლის წითელდროშოვანი დარბაზი სამგლოვიაროდ არის მორთული. დარბაზის ცენტრში მაღალ კვარცხლბეკზე ასვენია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრის ნიკოლოზ მიხეილის ძე შვერნიკის ცხედარი.

კვარცხლბეკის გარშემო უამრავი გვირგვინია, რომლებიც მოიტანეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის, სკკპ მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საოლქო აღმასკომის, საკავშირო პროფსაბჭოს, სხვა ორგანიზაციების, განსვენებულის ნათესავებისა და მახლობლების სახელით.

ატლასის ბალიშებზეა ორდენები და მედლები, რომლებითაც დაჯილდოებული იყო მუშათა კლასის საქმისათვის, კომუნიზმის საქმისათვის დაუცხრომელი მებრძოლი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მოახმარა პარტიისა და ხალხის სამსახურს.

25 დეკემბერს ნ. მ. შვერნიკთან გამოსათხოვებლად მოვიდა დედაქალაქის ათასობით მშრომელი, კუბოსთან პირველ სამგლოვიარო ვახტზე დადგნენ დაკრძალვის მომწყობი მთავრობის კომისიის წევრები ამხანაგები ა. ი. პელშე, (თავმჯდომარე), ვ. ვ. გრიშინი, ი. ვ. კაპიტონოვი, ვ. ნ. ნოვიკოვი, ა. ა. ანდრეევი, მ. პ. გიორგაძე, ვ. ი. პროხოროვი. (საკდესი).

ოკინაველთა მოთხოვნა

ტოკიო. 25 დეკემბერი. (საკდესი). რიუკიუს კუნძულების საკანონმდებლო კრებამ დღეს ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელშიც მოითხოვს დაუყოვნებლივ წაიღონ ოკინავიდან მთელი ამერიკული მომწამვლელი გაზები.

რეზოლუცია ამერიკის მთავრობისაგან მოითხოვს აგრეთვე დათქვას ოკინავის კუნძულებიდან ქიმიური იარაღის გატანის დაწყების ზუსტი თარიღი. კრების დეპუტატებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც მოითხოვენ, რომ იაპონიის მხარეს გადაეცეს ოკინავაზე სასამართლო წარმოების უფლება, აგრეთვე გაუქმდეს დასახლებული პუნქტების მახლობლად ამერიკის ჯარების მომავალი მანევრები.

ამასთან ერთად ოკინავაზე გრძელდება მცხოვრებთა მიტინგები და დემონსტრაციები, რომლებიც პროტესტს აცხადებენ ამერიკელ ჯარისკაცთა თვითნებობის წინააღმდეგ.

ლონდონი — ადასტურებენ მეცნიერები

ლონდონი. 25 დეკემბერი. (საკდესი). „სი-ეს“ გაზი ძლიერ მომწამვლელ ზემოქმედებას ახდენს ცოცხალ ორგანიზმებზე. ასეთი დასკვნა გამოიტანა ლონდონის სამეფო ქირურგიული კოლეჯის ორმა ინგლისელმა მეცნიერმა — რობერტ ჯონსმა და მარტინ ისრაელმა. ისინი ატარებდნენ ცდებს ცხოველებზე ამ გაზის ზემოქმედების გამოსაკვლევად. თავიანთი გამოკვლევის შედეგები მეცნიერებმა აცნობეს მთავრობის კომისიას, რომელიც ამ პრობლემაზე მუშაობს.

როგორც ცნობილია, „სი-ეს“ გაზს, რომლის აკრძალვას მსოფლიოს საზოგადოებრიობა მოითხოვს, ფართოდ იყენებენ ინგლისის ჯარები ჩრდილოეთ ირლანდიაში მღელვარების ჩასახშობად. ასეთი გაზიანი ბომბები, რომლებზეც აღნიშნულია „დამზადებულია ინგლისში“, ბევრჯერ ჩამოუყრიათ ამერიკის თვითმფრინავებს ვიეტნამის სოფლებსა და ქალაქებში.

მსოფლიოს ბევრი ქვეყნის მეცნიერთა აზრის მიუხედავად, ინგლისის ხელისუფალნი ამტკიცებენ, რომ „სი-ეს“ გაზი „უვნებელი“ ქიმიური პრეპარატია.

ლაზარალებულთა დასახმარებლად

აღმოსავლეთ პაკისტანში სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებულთათვის კვლავ მოდის დახმარება სხვადასხვა ქვეყნიდან, სურათზე თქვენ ხედავთ საბჭოთა გემ „მედნოგორსკს“ აღმოსავლეთ პაკისტანის ნავსადგურ ჩიტაგონგში განტვირთვის დროს. თბილისელმა ჩამოიტანა სურსათი, მედიკამენტები და სამშენებლო მასალები. *საკდესის ფოტოქრონიკა.*

ამერიკის შეერთებული შტატები

ანჯელა დევისი მოუწოდებს ბრძოლისათვის

ნიუ-იორკი. 25 დეკემბერი. (საკდესი). ანჯელა დევისმა მიმართა უძველეს მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობას მხარდაჭერისათვის, რასაც მას უწევენ ამ მომენტიდან, რაც ნიუ-იორკის პოლიციამ დააპატიმრა „მკვლელობაში მონაწილეობის“ ყალბი ბრალდებით.

„მხარდაჭერა საზღვარგარეთიდან უაღრესად ფართო იყო. სოციალისტური სახელმწიფოების ხალხები პროტესტს აცხადებდნენ ამა თუ იმ ფორმით“, —თქვა მამაცმა კომუნისტმა ინტერვიუში, რომელიც ნიუ-იორკის საპატიმროში მისცა გაზეთ „გარდიანის“ კორესპონდენტს ცოტა ხნით ადრე, სანამ კალიფორნიაში წაიყვანდნენ.

ანჯელა დევისმა ხაზი გაუსვა, რომ ფრიად მნიშვნელოვანია გაგრძელონ და გააფართოონ საზოგადოებრიობის კამპანია მოქალაქეობრივ უფლებათათვის მებრძოლთა დევნის წინააღმდეგ და მიაღწიონ ყველა პოლიტიკური პატიმრის განთავისუფლებას ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ახალგაზრდა კომუნისტმა განაცხადა, რომ ახლა პირველი რიგის ამოცანაა განავითარონ მასობრივი მოძრაობა მშრომელთა ინტერესების დასაცავად.

„ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, თქვა მან, — ხალხის მასების მოძრაობის კონსოლიდაციისა და შემდგომი განმტკიცებისათვის, რომელიც ეძღვნება ბრძოლას არა მარტო რეაქციის თარეშის წინააღმდეგ, არამედ აგრეთვე სოციალიზმის მიღწევისათვის, რაც ამ ბრძოლის მიზანია“.

მაიმუნის პროცესი დღესაც გრძელდება

ნიუ-იორკი. 25 დეკემბერი. (საკდესი). დიდი ხნის გაჭიანურების შემდეგ მისისიპის შტატის უმაღლესი სასამართლოს წევრებმა გაბედეს მხარი დაეჭიროთ ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებისათვის ამის შესახებ, რომ სასწავლებლებში ჩარლზ დარვინის ევოლუციის თეორიის სწავლების აკრძალვა ეწინააღმდეგება ამერიკის კონსტიტუციას.

როგორც ვიცით, 1925 წელს ტენესის შტატში გაიმართა ცნობილი „მაიმუნის პროცესი“ ადგილობრივი კოლეჯის მასწავლებლის ჯონ სკოპსის საქმის გამო. ჯონ სკოპსმა პირველმა „გაბედა“ ესწავლებინა ამერიკელი მოსწავლეებისათვის მატერიალისტური თეორია ადამიანის წარმოშობის შესახებ დარვინის მოძღვრების მიხედვით. ტენესის შტატის ბნელეთის მოციქულებმა სასწრაფოდ შეაჭიანეს დიდი მეცნიერის მოძღვრება და ევოლუციის თეორია ამოიღეს შტატის სასკოლო პროგრამებიდან. ტენესს მიბაძეს მისისიპისა და არკანზასის შტატებმა.

1968 წელს აშშ-ის უმაღლესმა სასამართლომ პროგრესული საზოგადოებრიობის ზეგავლენით გამოიტანა დადგენილება, რომ ამ სამ შტატში მიღებული კანონი ეწინააღმდეგება შეერთებული შტატების კონსტიტუციას და მასასადამე უნდა გაუქმდეს.

მთელი ორი წელიწადი დასჭირდათ მისისიპელ კანონმდებლებს, რათა პასუხი გაეცათ ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლოს ამ დადგენილებაზე. მაგრამ ეს პასუხი მხოლოდ ფორმალური პასუხია. მისისიპის შტატის უმაღლესმა სასამართლომ განაცხადა, რომ მხოლოდ „დაბრკოლებებს არ შეუქმნის ფედერალურ კანონს“.

დემონსტრაცია ვაშინგტონში

ვაშინგტონი. 25 დეკემბერი. (საკდესი). „ვიეტნამიზაცია — ეს არის ომის განგრძობის პროგრამა“, „დაწყდეს სამხრეთ ვიეტნამიდან ამერიკის ჯარების გაყვანის ზუსტი თარიღი“, — ასეთი ლოზუნგებით ამერიკის კეთილმოსურნე პაციფისტურმა საზოგადოებამ გუშინ მოაწყო თვითრი სახლის მასობრივი პიკეტირება.

ოკინაველთა მოთხოვნა — ტოკიო

ტოკიო. 25 დეკემბერი. (საკდესი). რიუკიუს კუნძულების საკანონმდებლო კრებამ დღეს ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელშიც მოითხოვს დაუყოვნებლივ წაიღონ ოკინავიდან მთელი ამერიკული მომწამვლელი გაზები.

რეზოლუცია ამერიკის მთავრობისაგან მოითხოვს აგრეთვე დათქვას ოკინავის კუნძულებიდან ქიმიური იარაღის გატანის დაწყების ზუსტი თარიღი. კრების დეპუტატებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც მოითხოვენ, რომ იაპონიის მხარეს გადაეცეს ოკინავაზე სასამართლო წარმოების უფლება, აგრეთვე გაუქმდეს დასახლებული პუნქტების მახლობლად ამერიკის ჯარების მომავალი მანევრები.

ამასთან ერთად ოკინავაზე გრძელდება მცხოვრებთა მიტინგები და დემონსტრაციები, რომლებიც პროტესტს აცხადებენ ამერიკელ ჯარისკაცთა თვითნებობის წინააღმდეგ.

ლონდონი — ადასტურებენ მეცნიერები

ლონდონი. 25 დეკემბერი. (საკდესი). „სი-ეს“ გაზი ძლიერ მომწამვლელ ზემოქმედებას ახდენს ცოცხალ ორგანიზმებზე. ასეთი დასკვნა გამოიტანა ლონდონის სამეფო ქირურგიული კოლეჯის ორმა ინგლისელმა მეცნიერმა — რობერტ ჯონსმა და მარტინ ისრაელმა. ისინი ატარებდნენ ცდებს ცხოველებზე ამ გაზის ზემოქმედების გამოსაკვლევად. თავიანთი გამოკვლევის შედეგები მეცნიერებმა აცნობეს მთავრობის კომისიას, რომელიც ამ პრობლემაზე მუშაობს.

როგორც ცნობილია, „სი-ეს“ გაზს, რომლის აკრძალვას მსოფლიოს საზოგადოებრიობა მოითხოვს, ფართოდ იყენებენ ინგლისის ჯარები ჩრდილოეთ ირლანდიაში მღელვარების ჩასახშობად. ასეთი გაზიანი ბომბები, რომლებზეც აღნიშნულია „დამზადებულია ინგლისში“, ბევრჯერ ჩამოუყრიათ ამერიკის თვითმფრინავებს ვიეტნამის სოფლებსა და ქალაქებში.

მსოფლიოს ბევრი ქვეყნის მეცნიერთა აზრის მიუხედავად, ინგლისის ხელისუფალნი ამტკიცებენ, რომ „სი-ეს“ გაზი „უვნებელი“ ქიმიური პრეპარატია.

ბონი

ახალი მემარჯვენე დაჯგუფება

ბონი. 25 დეკემბერი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიაში შეიქმნა ახალი ულტრამემარჯვენე ორგანიზაცია, რომელიც თავის თავს უწოდებს „გერმანელთა განთავისუფლებელ მოძრაობას“. როგორც პრესა იუწყება, იგი მოქმედებს ლოზუნგით: „ჯერ დავამყარებთ წესრიგს გერმანიაში, მერე ევროპაში, შემდეგ კი მთელ მსოფლიოში“.

ახალი ორგანიზაციის მესვეურია ვინმე როლანდ ტაბერტი. მან უკვე გამოუცხადა „სრული სოლიდარობა“ ნეონაციისტურ ორგანიზაციას „წინააღმდეგობის აქციას“.

ბურგოსის დილეგებში

პარიზი. 25 დეკემბერი. (საკდესი). ფრანკისტული ხელისუფალნი ყოველნაირად ცდილობენ გატეხონ 16 ბასკი ანტიფაშისტის ნებისყოფა, რომლებიც განაჩენის მოლოდინში კვლავ იტანჯებიან ბურგოსის ციხეში.

საპატიმროს ადმინისტრაციას მკაცრი რეჟიმის პირობებში ჰყავს პატრიოტები. განმარტოებულ საკნებს, აციებს მიუხედავად, არ ათბობენ და ნამდვილ ჯაყინულად გადაიქცნენ.

ჰაერიზი

დიქტატორის მანეკენი

პარიზი. 25 დეკემბერი. (საკდესი). ათენიდან მიღებულია ცნობა, რომ საბერძნეთის ხელისუფლებამ გაათავისუფლეს 102 პოლიტიკური პატიმარი, რომლებიც ლეროსის კუნძულზე ჰყავდათ. თავის ამასწინანდელ გამოსვლაში საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა პაპადოპულოსმა განაცხადა, რომ მომავალი წლის დამდეგს გაათავისუფლებენ კიდევ მთელ რიგ პოლიტიკურ პატიმრებს.

სამხედრო ხუნტა იძულებულია განახორციელოს ეს ღონისძიება მთელი მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობის მძლავრი ზეგავლენით.

პაპადოპულოსმა მაშინვე დასძინა, რომ სამხედრო ტრიბუნალები განაგრძობენ არსებობას და განიხილავენ იმ პირთა საქმეებს, რომელთა საქმიანობა „მიმართულია საზოგადოებრივი უშიშროების წინააღმდეგ“.

გუშინ, საბერძნეთის დედაქალაქში დაპატიმრეს და საიდუმლო პოლიციის ჯურღმულებში გამომწყვდიეს ჟურნალისტი დანსი. მომდინარეობს მისი დაკითხვა „ძირგამომთხრელი საქმიანობის“ თაობაზე. 18 დეკემბერს დაპატიმრეს მეორე ჟურნალისტი პაპაიოანუ.



ფაქტები

● **სამხრეთ კორეაში** ამერიკის ჯარებმა გააქტიურეს შეიარაღებული პროვოკაციები კორეის სახალხოდემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. 22 დეკემბერს სალამოს მათ შემოგზავნეს შეიარაღებული აგენტების ჯგუფი დემილიტარიზებული ზონის რაიონში, რომელსაც იცავენ კორეის სახალხო არმიის საგუშაგოები. დივერსანტები აღმოაჩინეს და გააუვნებლეს. დივერსანტებს უპოვეს სხვადასხვა ცეცხლსასროული და ცივი იარაღი.

● **კაიროში** მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ჩამოყალიბდეს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ახალგაზრდობის საქმეთა უმაღლესი კომიტეტი პრემიერ-მინისტრის მოადგილისა და შინაგან საქმეთა მინისტრის შაარაუი გომაას მეთაურობით.

● **თურქეთის** პარლამენტის ეროვნული პალატის ყოფილი თავმჯდომარე ფერუნ ბოზბეილი, რომელიც ახლახან გამოვიდა სამართლიანობის მმართველი პარტიიდან, არჩეულია ამ დღეებში შექმნილი დემოკრატიული პარტიის დენერალურ თავმჯდომარედ. მის მოადგილეებად აირჩიეს იუსელ მანდერესი და სადეტინ ბილგიჩი.

● **1971 წლის პირველი** იანვრიდან ქვეყნის რკინიგზით ტვირთზიდვის ტარიფი საშუალოდ 5 პროცენტით გაიზრდება. ამას იუწყება საფრანგეთის ტრანსპორტის სამინისტრო. 4 იანვრიდან 5,2 პროცენტით გადიდდება აგრეთვე მგზავრთა გადაყვანის ღირებულება.

ყოველი მხრიდან

ბულგარეთის, სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნების გაზეთები იუწყებიან, რომ საბჭოთა კავშირში მიმდინარეობს მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების სესიები, რომ სსრ კავშირის სხვადასხვა რაიონის მშრომელებმა ვადამდე შეასრულეს სახალხო-სამეურნეო გეგმები.

საზღვარგარეთის გაზეთები კვლავ აქცევენებენ მასალებს იმის შესახებ, რომ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ძლიერდება საპროტესტო მოძრაობა იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკელ სასამართლოს საშუალებით გაუსწორდნენ ამერიკელ კომუნისტს ანჯელა დევისს, აგრეთვე სამარცხვინო სამსჯავროს წინააღმდეგ, რომელიც ესპანეთის ხელისუფლებამ მოუწყვეს ბასკ პატრიოტებს.

ეხება რა ამერიკის კონგრესის გადაწყვეტილებას იმ კანონპროექტის მოწონების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს 255 მილიონი დოლარის გაღებას პნომპენის რეჟიმისათვის „სამხედრო დახმარების“ გასაწევად, ბევრი საზღვარგარეთელი მიმომხილველი გამოთქვამს აზრს, რომ ეს აქცია ვაშინგტონის კიდევ ერთი ნაბიჯია ინდოჩინეთში აგრესიული პოლიტიკის გაძლიერების გზაზე.

ტოკიოს „ასახი“ წერს, რომ აშშ-ს და იაპონიას შორის გამწვავდა ეგრეთ წოდებული „საფეიქრო ომი“. გაზეთი იუწყება, რომ ორ ქვეყანას შორის კვლავ შეუყდა მოლაპარაკება ამერიკის შეერთებულ შტატებში იაპონიის ტექსტილის ექსპორტის საკითხებზე და აღნიშნავს: „აშშ-თან მოლაპარაკების ახლანდელმა შეწყვეტამ არ შეიძლება ცუდი გავლენა არ მოახდინოს იაპონია-ამერიკის შემდგომ ურთიერთობაზე“. (საკდესი).

ლენინური „ისკრა“

„ისკრის“ პირველი ნომრის გამოსვლის 70 წლისთავი

გთვარეზმ დადის საბჭოთა ადამიანის მიერ შექმნილი ავტომატი და სამუდამოდ ტოვებს იქ თავის ნაკვალევს... ეს ხდება 1970 წლის ბოლოს. მაგრამ რა ვიყავით ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზე? 1900 წელს ქ. ბრიუსელში მოეწყო მსოფლიო გამოფენა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მეფის რუსეთმა. მან გამოფენაზე წარადგინა, როგორც ყველაზე თვალსაჩინო ექსპონატი, საეკლესიო ხატები და ზარები, ცხენის საზიდრები და სამოვრები...

და დღეს, როცა აწმყოს წარსულს ვადარებთ, ვხედავთ რაღაც საეროს მთავრემავალსა და იმ „ნაპერწკალს“ შორის, რომელიც შვიდი ათეული წლის წინათ აინთო. ეს ნაპერწკალი იყო გაზეთი „ისკრა“, რითაც რუსეთში გაღვივდა რევოლუციური მოძრაობის უდიდესი აღი, რომელშიც ჩაიფერფლა სოციალური ჩაგვრის ხელისუფლება დედამიწის ერთ მეექვსედზე და დაიწყო მსოფლიოს რევოლუციური გაკვალვების ეპოქა.

ჯერ კიდევ თავისი რევოლუციური ზოლვაწეობის დასაწყისში ვ. ი. ლენინი შეუდგა დიდ მუშაობას რუსეთის პროლეტარიატის მარქსისტული პარტიის შესაქმნელად. ამ მხრივ „მუშათა კლასის განთავისუფლების ბრძოლის კავშირი“ იყო წინგადადგმული ნაბიჯი და მარქსისტული პარტიის პირველი ჩანასახი რუსეთში. მაგრამ დაწყებული საქმე ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი. 1895 წლის დეკემბერში დაპატიმრეს ლენინი და გადასასლეს ციმბირში. მართალია, 1898 წლის მარტში მოწვეული იქნა რსდმპ I ყრილობა, მაგრამ მის შემდეგაც პარტია ფაქტიურად არ არსებობდა. დაქსაქსული ორგანიზაციებს არ ეაჩჩნდათ ერთიანი მოქმედების პროგრამა და წესდება.

ცხადია, იდეური დაბნეულობა, ორგანიზაციული დაქსაქსულობა, „ეკონომისტების“ გამხრწნელი მოქმედება სულ უფრო ამუხრუჭებდა რუსეთის მუშათა კლასის პოლიტიკური შეგნებულობის განვითარებას. ამიტომ მისი გამოსვლები პოლიტიკურად ყოველმხრივ გამართული მოქმედების ნაცვლად, ატარებდა სტიქიურ, შემთხვევით ხასიათს. ამასთან მაშინდელ რუსეთში მოვლენათა მსვლელობის ბარომეტრი სულ უფრო ანიშნებდა სახალხო რევოლუციის ქარშსალის მოახლოებას. ასეთი ვითარება კი, თავის მხრივ, მკვეთრად აყენებდა მუშათა კლასის ერთიანი მარქსისტული პარტიის შექმნის აუცილებლობას, რომელიც შეძლებდა ყოფილიყო მშრომელთა რევოლუციური ბრძოლის სათავეში. ლენინის გეგმა წინასწარეგრეტდა, რომ შეეძლებელი იყო ლაპარაკი პარტიის არსებობაზე კარგად ორგანიზებული და რეგულარულად გამომავალი გაზეთის გარეშე. უაზრო და ფუჭი იქნებოდა ყოველგვარი ორგანიზაცია, თუ არ იარსებებდა მარქსისტული ბეჭდვითი ორგანო. ამიტომ პროლეტარული პარტიის შექმნის ორგანიზაცია უნდა დაწყებულიყო საერთო-რუსული მარქსისტული გაზეთის შექმნით.

საერთო-რუსული მარქსისტული გაზეთის შექმნის საჭიროებას აძლიერებდა ისიც, რომ პრაქტიკულად მომუშავე სოციალ-დემოკრატების წრეში ყველანაირ როდი გრძნობდნენ მოძრაობის უმაღლეს ფორმაზე გადასვლის აუცილებლობას. თავს იჩენდა აზრთა მერყეობა, „მარქსიზმის კრიტიკა“ და „ბერნშტეინიადიანი“ გატაცება, მისწრაფება მოძრაობის შეჩერებისა მის დაბალ საფეხურზე. ამიტომ ლენინი „ისკრის“ რედაქციის განცხადებაში წერდა: „სანამ გავიერთიანდებოდეთ, ან იმისათვის, რომ გავერთიანდეთ, ჩვენ ჯერ გადავჭრით და გარკვევით უნდა გავიმიჯნოთო“. ეს გადაჭრით და გარკვევით იდეური გამიჯვნა უნდა მომხდარიყო გაზეთის საშუალებით. რედაქცია პირობას აძლევდა მკითხველებს, რომ მას არ ჰქონდა განზრახვა გადაექცია გაზეთი (ორგანო) სხვადასხვა შეხედულებათა. უბრალო საწყობად, არამედ მას ექნებოდა სასტიკად გარკვეული მიმართულება. ეს მიმართულება სხვა არა იქნებოდა რა, თუ არა მარქსიზმის სიწმინდისა და სიმტკიცის თანმიმდევრული დაცვა.

პრაქტიკული მუშაობა საერთო-რუსული გაზეთის შესაქმნელად იწყება 1900 წლის 29 იანვრიდან, როცა ვ. ი. ლენინმა თავი დაადწია ციმბირის გადასახლებას. მას გადასახლებაშივე გადაწყვეტილი ჰქონდა გაზეთის გამოცემა სახზღვარგარეთ. მაგრამ საჭირო იყო ძირითადი მოსამზადებელი მუშაობის ჩატარება რუსეთში. ამ მიზნით ლენინმა მოიარა მოსკოვი, პეტერბურგი, რიგა, სამარა, სიზრანი, ნიჟნი-ნოვგოროდი, უფა, სმოლენსკი. იგი კავშირს ამყარებს ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან, რომელთა ხელმძღვანელთაგან ბევრს პირადად ხვდება, მათ შორის ვ. ზასლიჩს, ი. ბაბუშკინს, ი. ლალიანცს, ა. ციურუპას და სხვ.

გაზეთის შექმნის გზაზე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ფსკოვში გამართული თათბირი. იგი შეიკრიბა 1900 წლის გაზაფხულზე. მას ესწრებოდა 6 კაცი. მათ შორის ოთხი სოციალ-დემოკრატი (ლენინი, მარტოვი, პოტრესოვი, რადჩენკო) და ორი „ლეგალური მარქსისტი“ (სტრუვე და ტუგან-ბარანოვსკი). ეს თათბირი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ აქ პირველად იქნა მიღებული ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც სახავდა პროგრამას პარტიის მომავალ პერიოდულ გამოცემათა შესახებ. თათბირმა „ლეგალური მარქსისტების“ წინააღმდეგობის მიუხედავად მიიღონა „ისკრისა“ და „ზარიის“ რედაქციის განცხადების პროექტი“.

ეს ლენინური დოკუმენტი რუსი სოციალ-დემოკრატების ყურადღებას მიაპყრობდა პირველი რიგში იდეურ-პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტაზე. იგი მოითხოვდა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებმა გაერთიანებას არა დეკრეტებით, ან რომელიმე წარმომადგენელთა კრების გადაწყვეტილებით, არამედ გაერთიანების გამომუშავების საფუძველზე. ამისათვის საჭირო იყო: პირველი, საერთო პარტიული ლიტერატურა მთელი რუსეთის რევოლუციური მოძრაობისათვის, მეორე, ისეთი ორგანიზაცია, რომელიც სპეციალურად იმუშავებდა მოძრაობის ყველა ცენტრს შორის კავშირურთიერთობის დასამყარებლად. მხოლოდ ასეთ პირობებში ექნებოდა პარტიის არსებობის მტკიცე საფუძველი. „და ჩვენი გაზეთიც ეს არის, — წერდა ლენინი, — რომ ჩვენი ძალლენი მოვანდოდოთ ამ ამოცანის პირველ ნახტომარს, ე. ი. საერთო ლიმერატურის გამომუშავებას“.

ფსკოვის თათბირის შემდეგ მზადება „ისკრის“ გამოცემის ორგანიზაციისათვის უფრო ინტენსიური გახდა. ლენინს უშუალო ხელმძღვანელობით იქმნება გაზეთის კორესპონდენტთა ზავრა საზღვარგარეთ. თავიდანვე გადაწყვეტილი იყო „ისკრის“ გამოცემა „შრომის განთავისუფლების“ პლეხანოვის ჯგუფთან ერთად. მაგრამ საქმეს აბრკოლებდა პლეხანოვის არასწორი პოზიცია. პლეხანოვი საერთოდ არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებდა საერთორუსული მარქსისტული გაზეთის შექმნას და ყოველმხრივ ბეგრეს უქცევდა, აბიანურებდა ამ საკითხის წარმატებით გადაწყვეტას.

ეს წინააღმდეგობა ცოცხლად, საინტერესოდ, რეპორტაჟის სახით გადმოსცა ლენინმა სტატიაში „როგორ კიანაამ ჩაქრა ისკრა“. მაგრამ „ისკრის“ გამოცემის თათბირი მაინც შედგა. მას „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფიდან ესწრებოდნენ პლეხანოვი, ზასულიჩი, აქსელროდი, ხოლო რუსი სოციალ-დემოკრატების ჯგუფიდან — ლენინი და პოტრესოვი (მაშინ მარტოვი ვერ ჩამოვიდა რუსეთიდან).

ხუთი კაცის მონაწილეობით ეს თათბირი ხუთ დღეს გაგრძელდა. ბოლოს მაინც მიღწეულ იქნა შეთანხმება. ორივე ჯ

საქართველოს ამბავ-ბაზარი

საახალწლო სუფრას

ინტერვიუ საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრ ვ. თოხაძესთან

მიმდინარე წლის თერთმეტი თვის მანძილზე რესპუბლიკის სახელმწიფო ვაჭრობის სისტემის სამრეწველო და სასურსათო მაღაზიებმა, სასადილოებმა, კაფეებმა და რესტორნებმა გეგმის გადამეტებით გაყიდეს 26 მილიონი მანეთის სხვადასხვა საქონელი. 12 დეკემბრისათვის ვაჭრობის საწარმოთა კოლექტივებმა შეასრულეს საქონელბრუნვის ხუთწლიანი გეგმა. წლის დამლევამდე სახელმწიფოს მიეყიდება კიდევ 30 მილიონი მანეთის სხვადასხვა საქონელი.

საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრმა ვ. თოხაძემ საქდესის კორესპონდენტთან საუბარში ილაპარაკა ახალი წლისწინა დღეებში ვაჭრობის ორგანიზაციის შესახებ.

სახე იცვალეს მაღაზიებმა: გაჩნდა ლამაზი ბრეში, გალამაზდა დარბაზები, ვიტრინები. მოსახლეობისათვის მისაყიდად შემოტანილია ბევრი ხორცი, ფრინველი, სხვადასხვა ძეხვეული, თევზი, კონსერვი, ფქვილი და სხვა პროდუქტი. იყიდება ღვინო, შამპანური, კონიაკი. მყიდველებს გააცხარებენ კონდიტერები. მათ მოამზადეს ბევრი საჩუქარი და გემოვნებით გაფორმებული კამფეტების კოლოფები. გაფართოვდა ხილის, ბოსტნეულის გაყიდვა, აჭარის, აფხაზეთის მეციტრუსეებმა გამოგვიგზავნეს მანდარინი, ფორთხალი, ლიმონი. ტორტების, ნამცხვრების, კულინარული ნაწარმის ფართო ასორტიმენტს სთავაზობენ მყიდველებს საზოგადოებრივი კვების ტრესტების მიერ მოწყობილი გამოფენა-ვაჭრობები.

დიდი ყურადღება დაეთმო მყიდველთა მომსახურების კულტურის ამაღლებას. საწყობების, მაცივრების, საწარმოებისა და ტრანსპორტის მუშაობა დაგეგმილია ისეთნაირად, რომ უზრუნველყოფილი იყოს სასურსათო და სამრეწველო საქონლით სავაჭრო ქსელის შეუფერხებელი მომარაგება. ყველა დიდ მაღაზიაში, შექმნილია შეკვეთების მაგიდები. ათობით „მოსკვიჩი“ და მოტოროლერი მყიდველთა სურვილით შინ მიიტანს საახალწლო საჩუქრებს, საბაყლო საქონელს, ღვინოს, ლიმონათს, მინერალურ წყალს.

რესტორნებში „საქართველოში“, „არაგვში“, „თბილისში“, „აფხაზეთში“, „ისნიდში“ „რუსთაველში“, აგრეთვე რესპუბლიკის საზოგადოებრივი კვების სხვა საფირმოებში მოეწყობა ახალი წლის შესვლდრები. გარდა ამისა, რესტორნები მსურველებს მისცემენ ყველაფერს, რაც საჭიროა სუფრის გასაწყობად, მიიღებენ შეკვეთებს საახალწლო სუფრისათვის საკვარელი კერძების დამზადებაზე.

სადღესასწაულო დღეებში თბილისის, რუსთავის, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, ქუთაისისა და სხვა ქალაქების სამრეწველო საქონლის მაღაზიებმა მიიღეს დიდძალი შეკერილი და ტრიკოტაჟის ნაწარმი. „თბილტანსაცმელეკვაჭრობისა“ და „თბილსაფეიქროვაჭრობის“ ბევრმა მაღაზიამ მოაწყო საახალწლო საჩუქრების გაყიდვის სპეციალური კუთხეები.

დღითიდღე სულ მეტი გამოცოცხლებაა სადღესასწაულო ბაზრობებზე. ყოველდღე საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან საკოლმეურნეო ბაზრებში მოაქვთ დიდძალი ხორცი, ფრინველი, თაფლი, ხილი, ბოსტნეული და სხვა პროდუქტები. გამოყოფილია ტრანსპორტი სასოფლო-სამეურნეო არტელებისა და კოლმეურნეების პროდუქტების ჩამოსატანად.

საუბრის დასასრულს ვ. თოხაძემ განაცხადა, რომ ახალი წლის დღესასწაულის წინა დღეებში — 29, 30 და 31 დეკემბერს სავაჭრო დაწესებულებათა მუშაობის საათები გახანგრძლივდება: სამრეწველო საქონლის მაღაზიები იმუშავებენ 21 საათამდე, ხოლო სასურსათო საქონლისა — 23 საათამდე.

პოლონეთის ტელევიზიით

პოლონეთის მშრომელები ყოველ წელიწადს აღნიშნავენ მეშახტის დღეს. ამ თარიღს ეძღვნება რადიო და ტელეგადაცემები, კონცერტები, სპექტაკლები. წელსაც ტრადიციულ მეშახტის დღის აღსანიშნავად პოლონეთის ტელევიზიამ მოაწყო დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ მსახიობები სხვადასხვა სახელმწიფოებიდან.

რესტორნებში „საქართველოში“, „არაგვში“, „თბილისში“, „აფხაზეთში“, „ისნიდში“ „რუსთაველში“, აგრეთვე რესპუბლიკის საზოგადოებრივი კვების სხვა საფირმოებში მოეწყობა ახალი წლის შესვლდრები. გარდა ამისა, რესტორნები მსურველებს მისცემენ ყველაფერს, რაც საჭიროა სუფრის გასაწყობად, მიიღებენ შეკვეთებს საახალწლო სუფრისათვის საკვარელი კერძების დამზადებაზე.

სადღესასწაულო დღეებში თბილისის, რუსთავის, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, ქუთაისისა და სხვა ქალაქების სამრეწველო საქონლის მაღაზიებმა მიიღეს დიდძალი შეკერილი და ტრიკოტაჟის ნაწარმი. „თბილტანსაცმელეკვაჭრობისა“ და „თბილსაფეიქროვაჭრობის“ ბევრმა მაღაზიამ მოაწყო საახალწლო საჩუქრების გაყიდვის სპეციალური კუთხეები.

მათემატიკა — მედიცინის სამსახურში

მეცნიერება ის ვერც ერთი დარგი ვერ განვითარდება უმათემატიკოდ. გამონაკლისი არც მედიცინაა. აქ სულ უფრო ფართოდ იყენებენ კვლევის მათემატიკურ მეთოდებს, მათ შორის ელექტრონულ-გამოსათვლელ ტექნიკას. „გონიერმა მანქანებმა“ უკვე მოიპოვეს მოქალაქეობრივი უფლება სამკურნალო და სამეცნიერო დაწესებულებებში, როგორც სამედიცინო ინფორმაციის შეკრებისა და დამუშავებისათვის, ისე დიაგნოზის დასმისათვის, მკურნალობის ყველაზე ეფექტიანი მეთოდების რაც შეიძლება სწრაფად შერჩევისათვის და სხვ. ორსებითი ცვლილებანი ამ მიმართულებით დასახულია თბილისის უმაღლეს სასწავლებლებშიც.

წელს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში შესასვლელ გამოცდებზე ფიზიკის გამოცდის ნაცვლად ობიტურიენტები გამოცდებს ჩააბარებენ მათემატიკაში (წერითი). ეს საგანი შეტანილია მაპროფილებელ დისციპლინათა რიცხვში ქიმიასთან და ბიოლოგიასთან ერთად.

საქდესის კორესპონდენტმა ი. გოლდმანმა ინსტიტუტის რექტორს, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს პ. გელბახიანს სთხოვა, აზრი გაეზიარებინა ამ სიახლეთა შესახებ.

— დღეს ყველასათვის ცხადია, — თქვა პროფესორმა პ. გელბახიანმა, — რომ სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა უნდა იცოდეს მათემატიკა, სწორედ ამიტომ უკვე მესამე წელია, რაც ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის ხუთივე ფაკულტეტზე შემოღებულია ფაკულტატური კურსები — უმაღლესი მათემატიკის, ალბათობის თეორიის, მათემატიკური სტატისტიკის, სამედიცინო ელექტრონიკისა და სამედიცინო კიბერნეტიკის საფუძვლების ელემენტები.

ბუნებრივია, რომ ჩვენ დაინტერესებული ვართ, რათა სამედიცინო ინსტიტუტში შემომსვლელებმა იცოდნენ მათემატიკა, თუნდაც საშუალო სკოლის კურსის ფარგლებში. მაგრამ, სამწუხაროდ, პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ სამედიცინო პროფილის უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დიდი უმრავლესობა ძალიან სუსტად იყო მომზადებული მათემატიკაში. ეს ნაკლებად როდია დაკავშირებული იმასთანაც, რომ ჩვენთან მისაღები გამოცდა არ ეწყობოდა ამ საგანში. დარწმუნებული ვართ, რომ მათემატიკაში მისაღები გამოცდის შემოღება ხელს შეუწყობს მომავალ მედიკთა მათემატიკური ცოდნის დონის ამაღლებას.

ვსარგებლობ შემთხვევით და მსურს გესაუბროთ აგრეთვე ზოგიერთ სიახლეზე მაღალკვალიფიციური სამედიცინო კადრების მომზადების დარგში.

ამ სასწავლო წლის 1 სექტემბრიდან სამკურნალო და პედიატრიის ფაკულტეტების მე-6 კურსზე იკითხება ლექციების მინიმალური რაოდენობა. მთელ ძირითად დროს სტუდენტები პრაქტიკას გადიან ინსტიტუტის კლინიკებში არჩეული ვიწრო სპეციალობის მიხედვით. მომავალ ექიმთა მომზადების ასეთ სისტემას სუბორდინატურა ეწოდება. სტუდენტთა განაწილება სპეციალობათა მიხედვით წარმოებს მედიცინის ამა-თუ იმ დარგისათვის საჭირო კადრებზე რესპუბლიკის მოთხოვნილებათა გათვალისწინებით.

მომავალი წლიდან შემოღებული იქნება ინტერნატურა — ერთწლიანი სპეციალიზაცია. ფაქტიურად ეს არის სწავლების მეშვიდე წელი. თუმცა ჩვეულებრივ, მე-6 კურსის დამთავრების შემდეგ სახელმწიფო გამოცდების ჩაბარებიდან კურსდამთავრებულები განაწილდებიან სამეშაოდ. სამეშაო ადგილიდან კი ისინი გაიგზავნებიან ინტერნატურაში. ამასთან სამკურნალო ფაკულტეტის კურსდამთავრებულნი დასპეციალდებიან სამი დისციპლინიდან ერთში — თერაპია, ქირურგია ან გინეკოლოგია, ახალგაზრდა პედიატრები კი ბავშვთა ქირურგიისა ან ბავშვთა ინფექციური დაავადებების დარგში.

ინტერნატურის გავლას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ახალგაზრდა ექიმებს ადგილზე უხელმძღვანელებენ საუკეთესო სპეციალისტები თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის საერთო ხელმძღვანელობით.

მომავალ წლიდან შემოღებული იქნება ინტერნატურა — ერთწლიანი სპეციალიზაცია. ფაქტიურად ეს არის სწავლების მეშვიდე წელი. თუმცა ჩვეულებრივ, მე-6 კურსის დამთავრების შემდეგ სახელმწიფო გამოცდების ჩაბარებიდან კურსდამთავრებულები განაწილდებიან სამეშაოდ. სამეშაო ადგილიდან კი ისინი გაიგზავნებიან ინტერნატურაში. ამასთან სამკურნალო ფაკულტეტის კურსდამთავრებულნი დასპეციალდებიან სამი დისციპლინიდან ერთში — თერაპია, ქირურგია ან გინეკოლოგია, ახალგაზრდა პედიატრები კი ბავშვთა ქირურგიისა ან ბავშვთა ინფექციური დაავადებების დარგში.

ინტერნატურის გავლას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ახალგაზრდა ექიმებს ადგილზე უხელმძღვანელებენ საუკეთესო სპეციალისტები თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის საერთო ხელმძღვანელობით.

ვ. კერესელიძე

ეროვნებით ებრაელი, სსრკ დამსახურებული ინჟინერი, პერსონალური პენსიონერი ბრიგადირ ინჟინერ-მაიორ ვ. კერესელიძე — გ. კერესელიძე-ბაბალოვის ოჯახიდან, ბაბალოვის რაიონის სოფელ სადმელში 1905 წელს. 1930 წელს წარჩინებით დასრულა ლენინგრადის სამთო ინსტიტუტი და მუშაობა დაიწყო ლენინგრადის ერთ-ერთ ინსტიტუტში ინჟინერ-მკვლევარის თანამდებობაზე. ორი წლის შემდეგ იგი უკვე ამერკავკასიის მინერალურ მადნეულთა ტრესტში მუშაობს უფროს ინჟინერ-გამამდიდრებლად.

1933 წლიდან გ. კერესელიძე ჭიათურაშია. ერთ ხანს მარგანეცის ტრესტის ტექნიკური კონტროლისა და გამდიდრების განყოფილებას ხელმძღვანელობს, ხოლო 1934 წლიდან 1945 წლამდე მთავარმადნეულის მადნის ხარისხების ჭიათურის ინსპექციის მმართველია.

1945-1949 წლებში გ. კერესელიძე მივლინებულ იქნა ამერიკის შეერთებულ შტატებში მადნის ჩაბარების უფროს ინჟინრად. სხვადასხვა დროს იგი მივლინებული იყო საფრანგეთში, ნორვეგიაში, შვეიცარიაში, უნგრეთსა და პოლონეთში.

1949 წლიდან 1960 წლამდე გ. კერესელიძე მუშაობდა ჭიათურის „მარგანტრესტის“ ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსად, ხოლო 1960 წლიდან 1967 წლამდე მადნეულ-ბუდობთა მთავარსამმართველოს ჭიათურის მადნის ხარისხების ინსპექციის უფროსი იყო.

მარგანეცის ქალაქის ტექნიკური ინტელიგენციის გულში მარად დარჩება შესანიშნავი სპეციალისტისა და ამხანაგის გ. კერესელიძის ნათელი ხსოვნა.

ამხანაგების ჯგუფი.

სიცოცხლის ქრონიკა

გ. მარუაშვილის დაბადების 60 წლისთავის გამო

საბჭოთა მეცნიერს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორს, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, პროფესორ გიორგი მინას-ძე მარუაშვილს დაბადების 60 და სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადო მოღვაწეობის 40 წელი შეუსრულდა.

იგი დაიბადა 1910 წლის 23 დეკემბერს დაბა ქარელში, ექიმის ოჯახში. მისი მამა საქართველოში მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო, მუშაობდა აღნიშნული ინსტიტუტის დამაარსებლისა და პირველი დირექტორის პროფესორ ს. გირსალაძის მოადგილედ და ჯანსახკომის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური განყოფილების სამალარიო სექციის გამგედ. გიორგიც მამის კვალს გაჰყვა. იგი 1928 წელს შედის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, რომელიც 1930 წელს სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტად გადაკეთდა. იუბილარი ამ ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტს ამთავრებს 1933 წელს.

შემდეგ იგი ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელია, განყოფილების ხელმძღვანელი, 1944 წლიდან — დირექტორი. დიდი სამამულო ომის დაწყებისას გ. მარუაშვილი მუშაობდა ტროპიკულ სნეულებათა ევაკოჰოსპიტლის უფროსს მოადგილისა და წამყვანი თერაპევტის თანამდებობაზე 1944 წლამდე.

1940 წელს გიორგიმ დაიცვა დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, 1943 წელს ენიჭება დოცენტის სამეცნიერო წოდება, 1955 წელს იგი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი ხდება. 1960 წელს მას ირჩევენ სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

გ. მარუაშვილმა გამოაქვეყნა 184 სამეცნიერო ნაშრომი თბილისში, მოსკოვში, ლენინგრადში, ბაკოში, უცხოეთის (პორტუგალია, ბრაზილია, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია, პაკისტანი, ირანი, ინგლისი) პრესაში. ნაშრომთა შორის 6 მონოგრაფიაა. ყოფილა სამეცნიერო ყრილობების, კონფერენციებისა და სიმპოზიუმების აქტიური მონაწილე, ხშირად არჩეული ყოფილა მათს სხდომათა თავმჯდომარედ როგორც უცხოეთში, ისე საბჭოთა კავშირში. 1958 წლიდან გ. მარუაშვილი ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტი-მალარიოლოგია. 1962 წელს იგი არჩეულ იქნა პარაზიტოლოგთა მსოფლიო ფედერაციის წევრად.

იგი კარგი პედაგოგია, განსაკუთრებული მონდომებით მუშაობს ახალგაზრდობასთან; მისი ხელმძღვანელობით დაცულია 12 სადოქტორო და 44 საკანდიდატო დისერტაცია. გ. მარუაშვილი ეწევა სარედაქციო მუშაობასაც. მისი რედაქციით გამოცემულია ინსტიტუტის შრომების კრებულები, ბიულეტენები, სამეცნიერო სესიის მასალები, მონოგრაფიები და სხვ.

საქართველოში მალარიის წინააღმდეგ ბრძოლა საკმაოდ რთული იყო. ეს სირთულე დაგვაძლევინა ეპიდემიოლოგიის ყოველმხრივმა შესწავლამ, მისი სამხარეო თავისებურებების გამოვლინებამ რესპუბლიკის სხვადასხვა ზონაში. პროფესორ გ. მარუაშვილის მიერ ინსტიტუტის კოლექტივთან ერთად ამ ხაზით წარმოებული კვლევის შედეგად მუშავდებოდა კონკრეტული ღონისძიებები, რაც სამედიცინო პრაქტიკაში ინერგებოდა და ხორციელდებოდა რესპუბლიკური და რაიონების სამალარიო სადგურების (1954 წლიდან სანეპიდსადგურების) მიერ. მალარიის ლიკვიდაცია მიღწეულ იქნა, მაგრამ დიდი ინტენსივობით მიმდინარეობს მისი პროფილაქტიკა. მეცნიერებმა წარმატებას მიაღწიეს მძიმე ტროპიკული სნეულების — ვისცერული ლეიშმანიოზის პრობლემის გადაჭრაში. პროფესორმა გ. მარუაშვილმა სწორედ ამ საკითხს მიუძღვნა ვრცელი მონოგრაფია, რომელიც მოგვცა დაავადების კერების კლინიკურ-ეპიდემიოლოგიური კლასიფიკაცია, შეიმუშავა ეფექტური მკურნალობისა და პროფილაქტიკის მეთოდები. დიდია იუბილარის წვლილი ჰელმინთოზებისა და ანკილოსტომიდოზის წინააღმდეგ ბრძოლის დარგში. გ. მარუაშვილს მიეკუთვნება მთელი რიგი ტროპიკული დაავადებების აღწერა საქართველოში. გ. მარუაშვილის შრომებში გარკვეული ადგილი უჭირავს ზოგად პარაზიტოლოგიურ პრობლემებსა და ორგანიზაციულ საკითხებს.

სამეცნიერო პროდუქციამ იუბილარს ფართოდ გაუთქვა სახელი. გ. მარუაშვილის შესახებ საუურადღებო მონაცემებია გამოქვეყნებული უცხოეთის გამოცემებშიც.

გ. მარუაშვილი არის სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ორი საპრობლემო კომისიის წევრი, დიდი სამედიცინო ენციკლოპედიის ბიოლოგიური განყოფილების თანარედაქტორი, ჟურნალ „სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და პარაზიტულ დაავადებათა“ სარედაქციო საბჭოს წევრი, ჟურნალ „საბჭოთა მედიცინის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე, თბილისის სამედიცინო პარაზიტოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე, სსრ კავშირის. მეცნიერებათა აკადემიის ჰელმინთოლოგთა და პროტოზოოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების გამგეობათა წევრი და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ჰელმინთოლოგიური კომიტეტის თავმჯდომარე. იგი იყო საქართველოს სსრ მე-5 მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

პარტიამ და მთავრობამ ჯეროვნად დააფასეს გ. მარუაშვილის ღვაწლი — იგი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით, მედლებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სპატიო სიგელით, მას მინიჭებული აქვს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის სატიტო წოდება.

გ. მარუაშვილი ენერგიულად, ხალისითა და ენთუზიაზმით იღვწის. ვუსურვოთ მას ჯანმრთელობა და ხანგრძლივი შემოქმედებითი სიცოცხლე.

პროფესორი

გ. გორდაძე,
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადო ყველა ორგანიზაციასა და პირს, რომლებმაც ჩემი დაბადების 70 წლისა და სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 45 წლისთავთან დაკავშირებით კეთილი სურვილები გამოთქვეს.

ლ. ჟანჩაველი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

მიფრინავს „მოლნია-1“

1970 წლის 25 დეკემბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს კავშირგაბმულობის შორიგი თანამგზავრი „მოლნია-1“. კავშირგაბმულობის თანამგზავრი „მოლნია-1“ განკუთვნილია შორი სატელეფონო-სატელეგრაფო რადიოკავშირის სისტემის ექსპლოატაციის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე უკიდურესი ჩრდილოეთის, ციმბირის, შორეული აღმოსავლეთისა და შუა აზიის რაიონებში მდებარე „ორბიტის“ ქსელის პუნქტებში სსრ კავშირის ცენტრალური ტელევიზიის პროგრამების გადასაცემად.

თანამგზავრი გაყვანილია მაღალელიფსურ ორბიტაზე, რომლის აპოგეა ჩრდილოეთ ნახევარსფეროში 39.600 კილომეტრია და პერიგეა სამხრეთ ნახევარსფეროში 480 კილომეტრი.

თანამგზავრის მიმოქცევის პერიოდია 11 საათი და 52 წუთი, ორბიტის დახრილობა — 65 გრადუსი.

თანამგზავრზე ტელევიზიის პროგრამების გადაცემისა და შორი მრავალარხიანი რადიოკავშირის აპარატურის გარდა დადგმულია საკომანდო-საზომი კომპლექსის აპარატურა, აგრეთვე თანამგზავრის ორიენტაციის, ორბიტის კორექციისა და ენერგოკვების სისტემები.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ

ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ

ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲤᲔᲚᲘᲥᲡᲘᲡ ᲤᲔᲚᲘᲥᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ...

ს. კანდელაკის ხსოვნისადმი მიძღვნილი საქართველოს აბსოლუტური პირველობა ქართულ ჭიდაობაში



თბილისის სპორტის სასახლეში ორ დღეს გრძელდებოდა გამოჩენილი ქართველი ფალავნის სანდრო კანდელაკის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური აბსოლუტური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. ასპარეზობას მრავალი მაუურებელი დაესწრო. სპორტის მოყვარულები, გარდა ხალჩიაზე მიმდინარე პაექრობისა, ეცნობოდნენ ძველ ფალავნებს, რადიოთი ისმენდნენ ქართული ჭიდაობის წარსულსა და აწმყოს, მსაჯთა შორის ვხედავდით სახელგანთქმულ არსენ მეკოკაშვილს.

ს. კანდელაკის ხსოვნის აღსანიშნავი აბსოლუტური პირველობა ქართულ ჭიდაობაში ტრადიციული გახდება. იგი მოეწყობა ყოველი წლის მიწურულს — დეკემბერში. 27 უძლიერესი ათლეტი იბრძოდა ხალიჩაზე. ესენი იყვნენ თბილისის, კასპის, გორის, ქუთაისის, ლაგოდეხის თელავის, ცხინვალის, სამტრედიის, დუშეთის წარმომადგენლები.

დასაწყისში ასპარეზობა ორ ჯგუფად წარიმართა, შემდეგ კი აქ გამარჯვებულებმა გაითამაშეს საპრიზო ადგილები. პირველ ჯგუფში წარმატება ხვდა თბილისელ ო. შაშიაშვილს, მეორე იყო თელაველი თ. წითელაური. მეორე ჯგუფში თანმიმდევრულად პირველ და მეორე ადგილზე გამოვიდნენ შ. გულიაშვილი (თბილისი) და ა. მალაციძე (კასპი). ასპარეზობის დასკვნითი ეტაპი ოლიმპიური სისტემით წარიმართა. ა. მალაციძემ წმინდად მოუგო ო. შაშიაშვილს, ხოლო შ. გულიაშვილმა ქულებით დაამარცხა თ. წითელაური. გადამწყვეტი ორთაბრძოლა შ. გულიაშვილსა და ა. მალაციძეს შორის ფრედ დამთავრდა, მაგრამ ადრე ჯგუფურ ტურნირში წარმატებისათვის გამარჯვება და ხაჭართველოს აბსოლუტური ჩემპიონობა მიენიჭა თბილისელ შ. გულიაშვილს. გამარჯვებულს ხაზეიმოდ გადაეცა თასი.

• • •

სურათებზე: მარცხნივ — ჭიდაობის ერთ-ერთი მომენტი, მარჯვნივ — საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში შ. გულიაშვილი.

ფოტო ა. კოტორაშვილისა.

ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲑᲐᲗᲐ ᲞᲐᲜᲝᲠᲐᲛᲐ

● **ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘᲡ.** ოლლა მოროზოვა და ალექსანდრე მეტრეველი წარმატებით გამოდიან სამხრეთ ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე. ქალთა ერთეულების ფინალში ო. მოროზოვამ დაამარცხა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი კ. კემერი 6:4, 4:6, 9:7 და პირველი ადგილი დაიკავა. სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონმა ა. მეტრეველმა მოუგო ავსტრალიის ერთ-ერთ უძლიერეს ჩოგბურთელს ბ. ფილიპს-მურს 6:4, 6:4, 3:6, 6:2 და ფინალში გავიდა.

● **ᲞᲐᲠᲘᲖᲘ.** რიგაში ვაკთა საკავშირო ჩემპიონატის დამთავრებამდე ერთი ტური დარჩა. სწორედ ამ ტურის შედეგებმა უნდა განსაზღვროს საბოლოოდ საპრიზო ადგილების ბედი. უკანასკნელისწინა მეოცე ტურში ანტაშინმა დაამარცხა დემენტიევი, პლატონოვმა — მოისეევი, კორჩნოიმ—პოდგაიცი, შტეინმა — მიკენასი. ლიბერზონ-ბაგიროვის, გიპსლის-სავონის, დორომკევიჩ-ხოლმოვისა და კარპოვ-ტუკმაკოვის პარტიები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო. გუშინ გადადებული პარტიების დამთავრებისას ვ. კორჩნოიმ მოუგო ბალაშოვს, 15,5 ქულა შეაგროვა და ერთი ტურით ადრე მეოთხეჯერ გახდა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი.

● **ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ.** გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები ვაკთა გუნდებისათვის. 24 დეკემბერს რიგაში თამაშობდნენ სსრ კავშირის ჩემპიონი არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და რიგის სკა-ს გუნდები. წარმატება ცსკა-ს ხვდა ანგარიშით 76:69. გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში პაექრობა ჰქონდათ ტარტუს „კალევსა“ და თბილისის „დინამოს“. გაიმარჯვეს სტუმრებმა 92:81 (44:43).

● **ᲙᲚᲝᲜᲣᲚᲘ.** დნეპროპეტროვსკში ფინიში აქვს სსრ კავშირის თასის გათამაშებას. 24 დეკემბერს ფიცარნაგზე გამოვიდნენ ქვესაშუალო და საშუალო წონის შტანგისტები, გუშინ კი პაექრობა ჰქონდათ ქვემძიმე და პირველი მძიმე წონის ძალოსნებს. ქვესაშუალო წონაში, როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა ვ. კურენცოვმა. სამჭიდში მან აჩვენა 460 კილოგრამი. საშუალო წონაში ყველას აჯობა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლენინგრადელმა ბ. სილიკინმ — 492,5 კილოგრამი.

ᲜᲐᲘᲠ-ᲜᲐᲘᲠᲘ

სირაქლემა... ინკუბატორიდან

ᲨᲠᲘᲜᲒᲔᲚᲗᲐ შორის ყველაზე დიდმა ასკანია-ნოვას ნაკრძალში აკლიმატიზებულმა აფრიკულმა სირაქლემებმა მრავალი წლის წვალების შემდეგ, როგორც იქნა, გაახარეს მეცნიერ მუშაკები. წელს პირველად ამ მეთხუთედი საუკუნის მანძილზე მოხერხდა ამ გოლიათების თაობის მიღება. 45 დღის ინკუბირების შემდეგ გამოიჩეკა ოთხი პატარა სირაქლემა.

რამდენიმე საინტერესო დეტალი სირაქლემების შესახებ გვაცნობა ზოოპარკის განყოფილების გამგემ ვ. დ. ტრუუსმა.

— ამ ფრინველის კვერცხის მაქსიმალური წონა აღწევს 2.200 გრამს, საშუალო წონა — კილონახევარს. პატარა სირაქლემა გამოჩეკის დღეს იწონის 1,2 კილოგრამს, უკვე შებუმბლული წიწილა ნახევარ წელიწადში წონაში იმატებს 30 კილოგრამამდე. აფრიკული სირაქლემის მაქსიმალური წონა, რომელიც ასკანია-ნოვაში აღინიშნა, 175 კილოგრამია.

აფრიკული სირაქლემები „ბრტყელმკერდიანთაგან“ ერთადერთი ფრინველები როდი არიან, რომლებსაც ასკანიის ნაკრძალში აშენებენ. აქ ცხოვრობენ და კარგად მრავლდებიან სამხრეთამერიკულინანდუ, ავსტრალიური ემუ და კაზაურები. სირაქლემა ნანდუს წლიური მატება, მაგალითად თითქმის ას ფრთას აღწევს, ამასთან ისინი ღია ცის ქვეშ ზამთრობენ, უამინდობაში თავს აფარებენ ლეღის მუზუუ ფარდულებს.

ᲐᲡᲙᲐᲜᲘᲐ-ᲜᲝᲕᲐ,

ნ. პროზეიგოლოვა,
(ხერსონის ოლქი).

ᲦᲛᲔᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲒᲜᲘᲢᲝᲤᲝᲜᲘ

ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ XX საუკუნეში იმის დაჯერება, რომ არშობილ ბავშვს შეუძლია არა მარტო ილაპარაკოს, არამედ ციტატებიც მოიყვანოს „სარეთო წერილიდან?“. თურმე შეიძლება. ამის ნათელი მაგალითია რომელიღაც ავსტიურიელი ქალის, სახელად ზახარაფონის, შემთხვევა, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ ინდონეზიაში მოხდა.

ამ ახალგაზრდა ქალმა გამოაცხადა, რომ უკვე 19 თვეა ფეხმძიმეა და ბავშვი თუმცა ჯერ არ შობილა, მაგრამ მისი „მითითებით“ მოგზაურობს აზიისა და ევროპის ქვეყნებში. ბავშვს თითქოს უთუოდ უნდა, რომ დაიბადოს მექაში, მუსლიმანთა მთავარ სალოცავ ადგილში. აფერისტს „დაუჯერა“ ინდონეზიის ზოგიერთმა პოლიტიკურმა მოღვაწემაც.

მაგრამ სიცრუე მალე გამოაშკარავდა. ზახარაფონამ უარი განაცხადა გაევლო სამედიცინო გამოკვლევა. იგი შეეცადა მიმალულიყო, მაგრამ ძალე შეიპყრო პოლიციამ. გამოირკვა, რომ ავანტიურისტს თავისი შვილი სინგაპურში მიუტოვებია. მას მუდამ თან დაჰქონდა მინიატიურული მაგნიტოფონი, რომელზეც ჩაწერილი იყო ცალკეული ფრაზები, რჩევა-დარიგება და, რა თქმა უნდა, ყურანიდან ამოღებული ნაწყვეტები, წარმოთქმული ბავშვის ხმით. იგი მარჯვედ იყენებდა ჩანაწერებს და საკმაოდ ბევრი ფული იშოვნა გაბრიყვებული ადამიანებისაგან მიღებული შეწირულებებით. (საკდესის კორ.).

ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲝᲡᲘᲡ ᲣᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲓᲐᲬᲧᲕᲘᲚᲓᲜᲔᲑᲘ

მაშ ასე, მსოფლიო პირველობის პრეტენდენტები დაწყვილდნენ: პეტროსიანი-ბოტვინნიკი, კორჩნოი-ფეფერი, ფიშერი-ტიმანოვი, ლარსენი-ულმანი.

უდავოდ საინტერესოა, ვინ შეხვდება ერთმანეთს ნახევარფინალში. ლარსენის ადრინდელი განცხადება, რომ იგი ფინალში ფიშერს დაამარცხებს, მოიხსნა. ეს მოუადრაკეები, თუ კი პირველ მატჩს მოიგებენ, ერთმანეთს ნახევარფინალში შეხვდებიან.

რა არის მოსალოდნელი პრეტენდენტთა მატჩებში, თუ კი